„დინამო“ (თბილისი) – „ტორპედო“ (მოსკოვი) 2:2

გუშინ გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის 27-ე ტურის მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის.

„დინამო“ (თბილისი) – „ტორპედო“ (მოსკოვი) 2:2 (0:1)

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 16 ოქტომბერი

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია (ქეცბაია, 69) არზიანი, კაკილაშვილი, ცვეიბა, სულაქველიძე, კორღალიძე (ფანცულაია, 71), გურული, შენგელია.

„ტორპედო“: ხარინი, პოლუკაროვი, ბოდაკი, პრიგოდა, პოზდნიაკოვი, გრიშინი, ი. სავიჩევი(ნ. სავიჩევი, 75), რუდაკოვი (პისარევი, 78) მუშტრუევი, შირინბეკოვი, აგაშკოვი.

მსაჯი ნ. იუროვი (ომსკი).

გააფრთხილეს კეტაშვილი და ი.სავიჩევი

დაწყებული 1938 წლიდან როცა მოსკოვის „ტორპედო“ უმაღლეს ლიგაში გამოჩნდა, თბილისის დინამოელებს ამ გუნდთან მეტად საინტერესო, საყურადღებო ურთიერთდამოკიდებულება აქვს. მათ შორის დამატებითი თამაშიც შედგა 1964 წლის საკავშირო ჩემპიონის გამოსავლენად, ტორპედოელები და დინამოელები ერთმანეთს თასის ფინალშიც შეხვედრიან. გასახსენებელი სხვაც ბევრი გვაქვს, მაგრამ გუშინდელ მატჩს საგანგებო მნიშვნელობა ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, თბილისელთათვის. ახლა წყდება ჩვენი გუნდის უმაღლეს ლიგაში დარჩენის საკითხი, ამიტომ ყოველ შეხვედრას, მოსკოვის „ტორპედოსთან“ იქნება ეს თუ სხვა გუნდთან, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ტრადიციის შესაბამისად გუშინდელი თამაში უკიდურესად დაძაბულ, შეუპოვარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. იგრძნობოდა მოჭარბებული ნერვიულობა, მინდორზე ხშირად არღვევდნენ წესს, მღელვარება გადაედო ტრიბუნებსაც, ნ. იუროვი გაჭირვებით აბამდა თავს სირთულეებს.

ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო მას შემდეგ, რაც დინამოელებმა თავიანთი ტერიტორიული უპირატესობისა და ხშირი იერიშების მიუხედავად 32-ე წუთზე... პირველი ბურთი გაუშვეს ი. სავიჩევის გარღვევის მერე. პირველ გოლს შესვენების შემდეგ მეორეც მოყვა, რომელიც 61-ე წუთზე გაიტანა პოზდნიაკოვმა.

1:2 - ამგვარ ვითარებაში მატჩის ხსნა დამარცხებისგან ძალზე ძნელი იყო, მაგრამ თბილისელებმა მთელი ძალით, ენერგიულად შეუტიეს და სულ მოკლე ხანში, 68-ე და 71-ე წუთებზე „ტორპედოს“ მეკარემ ხარინმა ორი ერთნაირი შეცდომა დაუშვა, რის შემდეგ ჯერ ფანცულაიამ, შემდეგ კი ქეცბაიამ ზედიზედ გაქვითა ორივე ბურთი - 2:2.

ძნელმა ბრძოლამ თბილისის „დინამოს“ ერთი ქულა მოუტანა, ტორპედოელებმა კი თავიანთ აქტივს ვერაფერი მიუმატეს, ვინაიდან ფრეთა ლიმიტი მათ უკვე ამოწურული აქვთ.

ამ გუნდების დუბლიორთა შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 2:1 თბილისელთ სასარგებლოდ. დინამოელთაგან ბურთები გაიტანეს ფირცხალავამ და ფანცულაიამ.

ლელო 17.10.1987